



შპს „ჯეო დეველოპმენტი“

ქ. თბილისში, სოფ. ზურგოვანას ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი
შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი: ზ. მგალობლიშვილი

თბილისი 2019

GAMMA Consulting Ltd. 19th. Guramishvili av, 0192, Tbilisi, Georgia
Tel: +(995 32) 260 44 33 +(995 32) 260 15 27 E-mail: gamma@gamma.ge
www.gamma.ge; www.facebook.com/gammaconsultingGeorgia

შპს „გამა კონსალტინგი“

სარჩევი

1	შესავალი.....	3
2	დაგეგმილი საქმიანობის აღწერა	4
2.1	მრავალფუნქციური განაშენიანების საპროექტო ინფრასტრუქტურა.....	12
2.1.1	წყალმომარაგება და კანალიზაცია.....	12
2.1.2	ელექტრომომარაგება	14
2.1.3	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	15
2.1.4	გაზმომარაგება.....	16
2.2	მშენებლობის ორგანიზაცია.....	17
2.2.1	კომუნიკაცია	19
3	ინფორმაცია საქმიანობის განსახორციელებელი ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა.....	19
3.1	ატმოსფერული ჰაერი და ხმაურის გავრცელება.....	19
3.2	გეოლოგიური გარემო	20
3.3	ბიოლოგიური გარემო.....	21
3.4	ნარჩენები.....	29
3.5	ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება	29
3.6	ზემოქმედება სოციალურ გარემოზე	33
4	დაგეგმილი საქმიანობით მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედება	33
5	მოკლე რეზიუმე	36
6	დანართები	37

1 შესავალი

დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს ქ. თბილისში, სოფ. ზურგოვანაში მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას და ექსპლუატაციას. პროექტის მიხედვით იგეგმება საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, სპორტული მოედნების და საცურაო აუზის მოწყობა. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართი არის - 11,83 ჰა.

საქართველოს კანონის „საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს, მე-2 დანართის მე-9 პუნქტის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია „საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით და წარმოადგენს 11,83 ჰა მიწის ფართობზე მოსაწყობი მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განაცხადის ძირითად დანართს.

პროექტს ახორციელებს შპს „ჯეო დეველოპმენტი“, ხოლო სკრინინგის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგი“-ს მიერ. საკონსულტაციო და საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 1.1.

ცხრილი 1.1. საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია	შპს „ჯეო დეველოპმენტი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, გაზაფხულის ქ., №18
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. თბილისი, დიდი დილომი, სოფ. ზურგოვანა
საქმიანობის სახე	მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა და ექსპლუატაცია
შპს „ჯეო დეველოპმენტი“-ს მონაცემები	
საიდენტიფიკაციო კოდი	405241867
ელექტრონული ფოსტა	vmaisuradze@gig.ge
საკონტაქტო პირი	ვასილ მაისურაძე
საკონტაქტო ტელეფონი	551 11 22 22
საკონსულტაციო კომპანია:	
შპს „გამა კონსალტინგი“-ს დირექტორი	ზ. მაგალობლიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	2 61 44 34; 2 60 15 27


2 დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დიდი დიდმის ჩრდილოეთით, სოფ. ზურგოვანას ტერიტორიაზე ე.წ. „ამერიკული სოფლის“ მიმდებარედ. საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური სქემა მოცემულია სურათზე 2.1. მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდებია - 01.72.14.014.868, 01.72.14.005.056, ხოლო საერთო ფართი 11,83 ჰა, საპროექტო ტერიტორიის კუთხეთა წვეროს კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.1 წინამდებარე თავში საპროექტო ტერიტორიის უკეთ აღსაქმელად ორივე მიწის ნაკვეთს განვიხილავთ ცალ-ცალკე, პირობითად 1 (01.72.14.014.868) და მე-2 (01.72.14.005.056) ნაკვეთად. მიწის ნაკვეთების დღევანდელი ფაქტიური მდგომარეობით შემოღობილი არ არის და დაუცველია, რის გამოც გარკვეულ ადგილებზე მოსაზღვრე მთავარი ქუჩის მახლობლად (თორნიკე ერისთავის ქუჩა) დაყრილია სამშენებლო ნაგავი და სხვადასხვა ტიპის ნარჩენები.

ცხრილი 2.1. საპროექტო ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატები UTM სისტემაში

N	X	Y	N	X	Y
1	479817	4627710	4	480073	4628155
2	479717	4627813	5	480188	4627985
3	479819	4628166	6	4627732	4627732

სურათი 2.2 სიტუაციური სქემა



პირველი მიწის ნაკვეთის დღევანდელი მდგომარეობით არის განაშენიანებული, რომელიც დაფარულია დაბალი ღირებულების ჰუმუსოვანი ფენით. განსახილველი ტერიტორია გასულ წლებში სავარაუდოდ განთავსებული იყო სხვადასხვა სამომსახურეო საქმიანობისთვის, რაზეც მეტყველებს ადგილზე შემორჩენილი მცირე შენობა-ნაგებობების ფუნდამენტები და ბეტონ-კონსტრუქციების ფრაგმენტები. ამავე ტერიტორიაზე აგრეთვე შემორჩენილია საავტომობილო გზის ასფალტბეტონის საფარის ფრაგმენტები, რაც მიუთითებს გასულ წლებში გარკვეული ფუნქციური დანიშნულების გზის არსებობაზე.

მეორე მიწის ნაკვეთი მდებარეობს ე.წ. „ამერიკული სოფლის“ ჩრდილოეთით. აღიშნული ტერიტორიაც, პირველი მონაკვეთის მსგავსად ძირითადად წარმოდგენილია დაბალი ღირებულების ჰუმუსოვანი ფენით, სადაც გვხვდება ეკლიანი ძეძვის, შავჯაგას ხე-ბუჩქოვანი მცენარეები. ორივე მონაკვეთის მწვანე ნარგავების უდიდესი ნაწილი დეგრადირებულია და გადასულია ხმობად სტადიაში, მათგან არიან ზეხმელი ეგზემპლარებიც.

ფუნქციონალური გადანაწილება ორივე ნაკვეთისთვის იქნება შემდეგი:

- მშენებლობის ეტაპზე პირველი მონაკვეთი გამოყენებული იქნება მცირე სამშენებლო ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის, სადაც მოხდება სამშენებლო მასალების დროებითი დასაწყობება, ასევე სატრანსპორტო საშუალებების სადგომად, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე მოწყობა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები (4 სართულიანი);
- მეორე მონაკვეთზე მოეწყობა სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლები და სარეკრეაციო ზონა (იხ. გენ-გეგმა სურათზე 2.6).

საპროექტო ტერიტორიას სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან უშუალოდ ესაზღვრება ე.წ. „ამერიკული სოფლის“ ტერიტორია, რომელიც შემოფარგლულია კაპიტალური ტიპის გამჭვირვალე მესერიტ (რკინა-ბეტონის ფუნდამენტი და ლითონის კონსტრუქციები). ამ ტერიტორიაზე განთავსებულია დაცვის საგუმბაგები და ემსახურება სათანადო პერსონალი.

სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება მოქმედი საავტომობილო გზა - თორნიკე ერისთავის ქუჩა, რომელიც ცენტრალურ მისასვლელს წარმოადგენს ადგილობრივი დასახლებებისათვის და არსებული განაშენიანების ზონისათვის. ამ ქუჩის გასწვრივ უმეტესად სამხრეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით განლაგებულია კერძო ტიპის დასახლებები და მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.

ჩრდილოეთის მხრიდან საპროექტო ტერიტორიას მუხათგვერდის გორა ესაზღვრება. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ყველაზე მაღალ წერტილს საპროექტო ობიექტის მომიჯნავე ტერიტორიების ზონაში.

საპროექტო ტერიტორიამდე ძირითად მისასვლელ გზას წარმოადგენს მუხათგვერდის ქუჩა, საიდანაც თავისუფლების ქუჩით უკავშირდებით თორნიკე ერისთავის ქუჩას. ხსენებულ გზას თავისი გეომეტრიული პარამეტრებიდან და საფარის სტრუქტურული ელემენტებიდან გამომდინარე შეუძლია 700 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის გატარება ერთ საათში. ასეთ პირობებში დაცულია მოძრაობის სიჩქარე და უსაფრთხოების პირობები. არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით დაგეგმილი საქმიანობა არ გულისხმობს ადგილზე მისასვლელად ახალი გზების მოწყობა, მოეწყობა მხოლოდ შიდა ტერიტორიაზე გადასადგილებელი გზები.

დაგეგმილი საქმიანობა როგორც ზემოთ აღინიშნა გულისხმობს, დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, (სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი) სახლების დაგეგმარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ქვედა და მიწისპირა სართულებზე გათვალისწინებულია შენობის შესასვლელი ლობი, ავტოსადგომები და დამხმარე ოთახები საინჟინრო დანადგარებისთვის. თვითონ საპროექტო არეალის მკვეთრი რელიეფის მახასიათებლებიდან გამომდინარე მრავალბინიან ერთეულებში გაჩნდება მიწისქვეშა და

მიწისპირა სართულები, რომლებიც მიიღებენ არასრულ ან ნაწილობრივ მიწისქვეშა სივრცის იერსახეს. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ფუნქციის ორგანიზებისთვის გათვალისწინებულია ღია საცურაო აუზის მოწყობა, რომელიც იფუნქციონირებს უშუალოდ დასაგეგმარებელი კომპლექსის მობინადრეთათვის (გენ-გეგმა იხილეთ ნახაზზე 2.6), ასევე იგეგმება ტერიტორიის გამწვანებითი სამუშაოები (გენ-გეგმა იხ. სურათი 2.3). უნდა აღინიშნოს რომ უშუალოდ და სამშენებლო სამუშაოები არ გულისხმობს ფერდი მოჭრად, შენობა-ნაგებობების განთავსება მოხდება ფერდის დახრილობის გათვალისწინებით.

დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს გამწვანებით (დენდროლოგიურ) სამუშაოებს. საპროექტო ტერიტორიის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ის პრინციპები, რის მიხედვითაც მოხდა მიწის ნაკვეთის დენდროლოგიური პროექტის მომზადება (ლანდშაფტის კონცეფცია იხ. სურათზე 2.3).

- რთული რელიეფი, განსაკუთრებით ზედა ნაკვეთზე მოითხოვს ისეთი მცენარეების შერჩევას, რომლის ფესვებიც ეფექტურად შეაჩერებენ ნიადაგის ბუნებრივ ეროზიას. მცენარეების შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი ნიადაგის სწრაფად დაფარვაა;
- **კლიმატი**- საპროექტო არეალის და არსებული სტიქიურად გამრავლებული მცენარეების დათვალერებისას შედეგად დადგინდა რომ, ტერიტორია გაუდაბნოების და ხშირი ქანების არსებობის ნიშნებს ატარებ. შესაბამისად ქარსაცავი ზოლის შექმნა გაბატონებული ქანების მიმართულების გზაზე შეამცირებს და შეასუსტებს ქარის სიმძლავრეს მიდამოებში, რაც უფრო კომფორტულს გახდის ადამიანის ცხოვრებას ტერიტორიაზე;
- **ნიადაგი** - ტერიტორიის ნიადაგი და ზედაპირი დეგრადირებულია; ტერიტორია დაბინძურებულია სამშენებლო ნაგვით და ნარჩენებით, ფართობის საკმაოდ დიდი წარმოდგენილია ამორტიზებული ბეტონის საფარით. მცენარეების დასარგავად აუცილებელი იქნება გამდიდრებული მიწის ნაზავის შეტანა უშუალოდ დასარგავ ორმოებში.

ტერიტორიაზე შესწავლილ იქნება მწვანე საფარის მდგომარეობა, რა დროსაც N1 ნაკვეთზე აღირიცხა 191 მცენარე. უზანზე დათვლილი მცენარეებიდან, რომლებიც უშუალოდ მშენებლობას უშლიან ხელს არის 133, აქედან 130 გადაირგვება და 3 მოიჭრება.

N2 ნაკვეთზე აღრიცხულია 1082 მცენარე. მათ შორის სამშენებლო სამუშაოების ხელს უშლის 411 მცენარე, საიდანაც 382 გადაირგვება 29 კი მოიჭრება.

შერჩეული ლანდშაფტის კონცეფცია ეყრდნობა მდგრადი ლანდშაფტის პრინციპს. ძირითადი ამოცანა არის შექმნას ლანდშაფტური არეალი, სადაც განლაგდება ხე-ბუჩქები და სხვა მცენარეების მხატვრული სივრცითი კომპოზიცია, რომელიც დეკორატიული იქნება ყველა სეზონზე. ამასთან ხელი შეეწყობა ეკოსისტემის შექმნას, ერთგვარი მიკროკლიმატის ჩამოყალიბებას, რომელიც სასარგებლო ინება, როგორც მომავალი ბინადრების ასევე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და განვითარებას. საერთო კონცეფციაში აქტიურად იქნება შემოტანილი მდგრადი ლანდშაფტის - ვერტიკალური გამწვანება, როგორც კედლებზე ასევე სხვა არქიტექტურულ დეტალებზე.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში იგეგმება მნიშვნელოვანი გამწვანებითი სამუშაოები, რომელიც მომზადებულია ლანდშაფტის არქიტექტორის მიერ. ტერიტორიაზე დაირგვება ისეთი მცენარეები, როგორც არის (მცენარეების ფოტომასალა მოცემულია დაბლა): ჟასმინი, პახისანდრა, ვინკა, სურო, დეკორატიული მცენარეები, ხე-სუსტი, ზეთისხილი, ფოთლოვანი ხეები- წითელფოთოლა მუხა, ამერიკული რცხილა, გინგკო ბილობა, ცაცხვი, ალციბია, წიწვოვანი ხეები - სოჭი, ნაძვი, დასავლეთის ტუია, ორნამენტული ბალახი - მისკანტუსი, ფესტუკა, პამპასის ბალახი, კალმაგროსტისი, სედუმი, პენისტეტუმი, კარექსი, ფერდობის მცენარეები - ეონიმუს ალატუსი, ვარდის სახეობები, იაპონური კომში, ფორზიცია, გართხმული ღვია, ფორჩუნის ეონიმუსი, ჩიტავაშლა, მრავალწლიანები - ლავანდა, პეროვსკაია, ახილეა, როზმარინი,

სანტოლინი, ვარდი, ასკილი, პირაპანტა, ნიადაგის მცენარეები - კრაზანა, სედუმი, ნიადაგსაფარი ვარდი, აიუგა, თიმური (ქონდარი).



სურათი 2.3 საპროექტო ლანდშაფტის კონცეფცია



სურათი 2.4 საპროექტო შენობა-ნაგებობების ესკიზები



სურათი 2.5 საპროექტო ტერიტორიის ზოგადი ხედები



სურათი 2.6 გენ-გეგმა




2.1 მრავალფუნქციური განაშენიანების საპროექტო ინფრასტრუქტურა

2.1.1 წყალმომარაგება და კანალიზაცია


დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წყალმომარაგება - კანალიზაციის ხარჯები გაანგარიშებულია ორი ნორმატიული დოკუმენტის - СНиП 2.04.02.-84* გარე ქსელები და СНиП 2.04.02.-85* შიდა ქსელების მიხედვით.

წყალმომარაგება გათვლილია 1750 ადამიანზე, რა დროსაც $Q=525$ მ³/დღ. ღამ. პროექტის მიხედვით წყალმომარაგების სისტემა დაყოფილია ორ ზონად, თითოეულ ზონაში მოეწყობა ინდივიდუალური (მოცულობით 300 მ³) რეზერვუარი. ერთი ზონის სადღეღამისო საშუალო ხარჯია 262,5 მ³/დღ.ღამ. წყალსადენის ქსელის გეგმა იხილეთ ნახაზზე 2.1.1.1. წყალსადენ-კანალიზაციის გარე ქსელის დაპროექტება მოხდება GWP-ის ტექნიკური პირობების შესაბამისად, სადაც მითითებული იქნება ჩართვის წერტილები და მახასიათებლები. რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, ის ჩართული იქნება შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს არსებულ ქსელში.

ნახაზი 2.1.1.1. წყალმომარაგების გეგმა




ნახაზი 2.1.1.2 წყალმომარაგება, კანალიზაცია და სანიაღვრე წყლების გენ-გეგმა



2.1.2 ელექტრომომარაგება

საპროექტო ტერიტორიაზე ელ. ენერგიით მომარაგება მოხდება ქალაქის მომარაგების ქსელებიდან. გენ-გეგმა იხილეთ ნახაზზე 2.1.2.1


ნახაზი 2.1.2 ელ. ენერგიით ტერიტორიის მომარაგების სქემა




2.1.3 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შპს „ჯეო დეველოპმენტი“-ს ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის სამმართველოსთან შეთანხმებით დაგეგმილი აქვს საგზაო მოძრაობის დროებითი სქემები მშენებლობის ეტაპისთვის (იხ. სურათი 2.1.3.1). საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული სქემა, რათა მაქსიმალურად იქნეს გამორიცხული, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებით, როგორც მოსახლეობის შეწუხების და უსაფრთხოების რისკები, ასევე უშუალოდ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობით სხვა მანქანების გადაადგილების შეზღუდვა.

სურათი 2.1.3.1 საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებული სამშენებლო სამუშაოების დროებითი ორგანიზაციის სქემა



სურათი 2.1.3.2 უშუალოდ ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების სქემა



უშუალოდ მრავალფუნქციური განაშენიანების პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე, სატრანსპორტო ნაკადზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან სპეციალისტების მიერ გათვლილი გზების გამტარუნარიანობა სრულიად აკმაყოფილებს, საპროექტო ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანების სავარაუდოს მანქანების რაოდენობას.

2.1.4 გაზომომარაგება

საპროექტო ტერიტორიის გაზიფიცირება და გაზომომარაგება მოხდება, მის მიმდებარედ არსებული გაზგამანაწილებელი ქსელიდან. გაზომომარაგება განხორციელდება მსგავსად ე.წ „ამერიკული სოფლის“.

2.2 მშენებლობის ორგანიზაცია

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში შესასრულებელი სამუშაოები შესრულებული იქნება შემდეგი თანმიმდევრობით:

- ტერიტორიის დასუფთავება არსებული სამშენებლო ნარჩენებისაგან ;
- საპროექტო ტერიტორიის დაყოფა საცხოვრებელ და სარეკრეაციო ზონებად, შიდა სამშენებლო დროებითი გზების მოწყობა;
- დროებითი საოფისე და სამშენებლო ინფრასტრუქტურის (სამშენებლო მასალების საწყობები, ტექნიკის სადგომები) მოწყობა;
- სამშენებლო მოედნებზე არსებული მცენარეული საფარის გადარგვა და გამხმარი ეგზემპლიარების მოჭრა, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება;
- მიწის სამუშაოების შესრულება და ფუჭი ქანების განთავსება ქალაქის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე;
- შენობა-ნაგებობების, სარეკრეაციო ზონების და სხვა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება;
- გამწვანების სამუშაოების შესრულება
- მშენებლობის დემობილიზაცია ტერიტორიის დასუფთავება და სარეკულტივაციო სამუშაოების შესრულება.

საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით სამშენებლო ინფრასტრუქტურის შემადგენლობაში გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა და ხმაურის გავრცელება, საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა და სხვა) ისეთი მაღალი რიკის ობიექტები როგორცაა: ბეტონის კვანძის, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო, საწვავის შესანახი რეზერვუარები გათვალისწინებული არ არის.

გამომდინარე აღნიშნულიდან გამომდინარე ტიპური სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. ტერიტორიის ქვედა ნიშნულზე გამოყოფილ უბანზე (გეოგრაფიული კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.2.1) განთავსდება სამშენებლო მასალების მოედანი, სადაც ასევე განთავსებული იქნება საოფისე, მუშათა დასასვენებელი და საკვების მისაღები კონტეინერული ტიპის შენობები.

ცხრილი 2.2.1 დროებითი სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატები

N	X	Y	N	X	Y
1	479953	4627779	3	479846	4627769
2	479825	4627766	4	479976	4627737

სურათი 2.2.2. სამშენებლო ინფრასტრუქტურის დასასაწყობებლად შერჩეული ტერიტორიის სქემა



საპროექტო ტერიტორია გამოირჩევა აგრო ლანდშაფტი, სადაც ნაყოფიერი ფენა გაიშვიათებული და ალაგ-ალაგ შესაძლოა შეგხვდეს 5-8 სმ, უნდა აღნიშნოს რომ სამშენებლო სამუშაოების დროს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და რეკულტივაცია განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით. სამშენებლო ობიექტების ფუნდამენტის მოწყობის დროს ამოღებული გამოუსადეგარი გრუნტის გატანა მოხდება ქ. თბილისის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე, ნაწილი კი შესაძლოა გამოყენებული იყოს (თუ გრუნტი ამის საშუალებას მისცემს) შიდა სამოედნო გზების ვაკისის მოსაწყობად.

მრავალფუნქციური განაშენიანების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დრო დაახლოებით იქნება 1,5-2 წელი, სადაც დასაქმებული იქნება დაახლოებით 70-80 ადამიანი.

სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყენებული ტექნიკის სახეები და რაოდენობა მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე იქნება სხვადასხვა. ქვემოთ მოცემულია ძირითადი ტექნიკის ჩამონათვალი, რომლებიც გამოყენებული იქნება მშენებლობის პერიოდში:

ცხრილი 2.2.3. ტექნიკის ჩამონათვალი რომელიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება მშენებლობის პროცესში

N	ტექნიკის დასახლება	რაოდენობა
1	ბულდოზერი	2
2	ექსკავატორი	2
3	ბეტონმზიდი	3
4	ბეტონის მიმწოდებელი (ე.წ. წერო)	1
5	თვითმცლელი ავტომანქანა	3
6	სატვირთო ავტომანქანა	2
7	სატკეპნი აპარატი	1

2.2.1 კომუნიკაცია

სამშენებლო მოედნების ელექტრომომარაგება და წყალმომარაგება განხორციელდება ქალაქის ელექტრო მომარაგების ქსელებიდან, ხოლო ჩამდინარე წყლების დროებით ჩაშვება მოხდება ტერიტორიაზე არსებულ საკანალიზაციო კოლექტორში.

3 ინფორმაცია საქმიანობის განსახორციელებელი ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა

დაგეგმილი საქმიანობის ხასიათის და მდებარეობის გათვალისწინებით წინამდებარე სკრინინგის ანგარიშში არ არის განხილული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება. განხილვიდან ამოღებული ზემოქმედებები და საფუძვლები იხილეთ ცხრილში 3.1.

ცხრილი 3.1

ზემოქმედების სახე	განხილვიდან ამოღების საფუძველი
მიწის საკუთრება და გამოყენება	საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს შპს „ჯეო დეველოპმენტი“-ს საკუთრებას, ამიტომ მიწის საკუთრების და გამოყენების მიმართულებით ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.
დაცული ტერიტორიები	საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია თბილისის ეროვნული პარკი დაცვილებულია 2,7 კმ-ით, ხოლო ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბანი „საგურამო“ (GE0000047) 5 კმ-ით. საპროექტო ტერიტორიიდან დიდი მანძილის დაშორების და დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაცული ტერიტორიების ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.
ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე	საპროექტო მოედნიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. მტკვარი დაშორებულია დაახლოებით 2 კმ-ით, რაც მასზე ზემოქმედებას სრულიად გამორიცხავს.

3.1 ატმოსფერული ჰაერი და ხმაურის გავრცელება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისის შედარებით ნაკლებად დასახლებულ მონაკვეთში, სადაც ხმაურის და ატმოსფერული ემისიების წარმომქმნელი სტაციონალური წყაროები ფაქტობრივად არ არის განლაგებული. განხილული ზემოქმედების გავლენის ქვეშ მოექცევა ძირითადად სოფ. ზურგოვანას მოსახლეობა განსაკუთრებით, ე. წ. „ამერიკულ სოფელ“-ში მცხოვრები მოქალაქეები, რადგან სამშენებლო მოედანთან ყველაზე ახლოს სწორედ ეს დასახლებაა.

უშუალოდ დაგეგმილი საქმიანობით გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, როგორც ხმაურის ასევე ატმოსფეროში ემისიებთან დაკავშირებით იქნება დაბალი, რადგან ტერიტორიაზე არ იგეგმება ბეტონის კვანძი და სამსხვრევ დამხარისხებლის მოწყობა, საჭირო რაოდენობის ბეტონის ნაშაბი შემოტანილი იქნება მზა სახით. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 1,5-2 წელი, ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების რიკების თავიდან არიდების მიზნით სამშენებლო სამუშაოები იქნება დროში გაწერილი, შესაბამისად საღამოს საათებში არ მოხდება სამშენებლო ოპერაციების განხორციელება.

საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით ხმაური და ემისიები ძირითადად წარმოქმნილი იქნება საავტომობილო საშუალებების გადაადგილებით და უშუალოდ სამშენებლო სამუშაოებით. მშენებლობის ფაზაზე, განსაკუთრებით საყურადღებო იქნება ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელება, რისთვისაც გატარდება შესაბამისი შემარბილებელი და

პრევენციული ღონისძიებები, კერძოდ: მშენებარე შენობების ფასადების დაფარვა სპეციალური საფარით, შიდა გზების და სამშენებლო მოედნების ზედაპირების წყლით დანამვა, ნაყარი ტვინების ტრანსპორტირება მხოლოდ სპეციალური საფარით დახურული მარის მქონე ავტომანქანებით, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა და სხვა. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის ზენორმატიული გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესრულების ვალდებულება ხელშეკრულებით განესაზღვრება მშენებელ კონტრაქტორს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება, მშენებლობის ფაზაზე, არ იქნება მაღალი.

ექსპლუატაციის ფაზაზე, ხმაურის და ემისიების გავრცელების რისკები მინიმალურია, იგი დაკავშირებული იქნება უშუალოდ ტერიტორიაზე მცხოვრები და გადაადგილებული ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობასთან.

3.2 გეოლოგიური გარემო

გეომორფოლოგიურად ტერიტორია წარმოადგენს მუხათგვერდის ქედის სამხრეთ დაბოლოების ნაწილს, სამხრეთისკენ საერთო დახრის მქონე რელიეფით. შესრულებული ვიზუალური რეკონოსცირების და არსებითი საარქივო მასალების მონაცემების თანახმად, სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია აგებულია ოლიგოცენის და ქვედა მიოცენის (P_3+N_1) ძირითადი ქანებით, რომლებიც უმთავრესად წარმოდგენილია მოყვითალო ფერის თხელშრებრივი არგილიტებით, თიხოვანი ქვიშაქვების 20-30 სმ-მდე სისქის იშვიათი შუაშრებებით. ტერიტორიის ჩრდილო ნაწილში ძირითადი ქანები გავრცელებულია ზედაპირთან ახლოს 0,5-1,5 მ-დან, ხოლო სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ქანები იძირებიან და ვლინდებიან სავარაუდოდ 9-10 მ-დან.

ძირითადი ქანები ზედა ნაწილში, ზედაპირთან ახლოს ძლიერ გამოფიტულია, რომლის ხარისხი სიღრმის ზრდასთან ერთად მცირდება. აღწერილი ძირითადი ქანები ტერიტორიის ფარგლებში დაფარულია დელუვიური (dQ_v) გენეზისის თიხოვანი გრუნტებით, რომელი უმთავრესად წარმოდგენილია მოყვითალო ყავისფერი, ნახევრადმყარი კონსისტენციის, თაბაშირიანი თიხებით, რომელთა სიმძლავრე ცვალებადობს 1,5-10 მ-ის ფარგლებში.

ტერიტორიების გეოლოგიურ ჭრილში, სამშენებლო თვისებების მიხედვით, ნაყარი გრუნტის (ფენა 1) ჩათვლელად, გამოიყოფა ოთხი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე):

- I სგე - თიხნარი მყარი კონსისტენციის (ფენა 2);
- II სგე - თიხნარი რბილპლასტიკური კონსისტენციის (ფენა 2);
- III სგე - თიხა მყარი კონსისტენციის (ფენა 3);
- IV სგე - ძირითადი ქანი - არგილიტები (ფენა 4).

საკვლევე ტერიტორიების გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობების ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შენობების დაფუძნებისთვის გამოყენებული იქნება I, III და IV სგე-ის გრუნტები (ფენები 2, 3 და 4). საძირკვლების ტიპი შეიძლება მიღებული იქნეს ჩვეულებრივი ნებისმიერი (ლენტური, ცალკე მდგომი, ფილა).

როგორც აღნიშნულია ზემოთ, სამხრეთის მხარეს განლაგებული სამშენებლო ტერიტორია ადრეულ პერიოდში დატერასებულია. ჩრდილოეთის მხარეს არსებული ტერიტორია ხასიათდება დამრეცი დახრით (17° -მდე), რაც აღემატება 15° -ს და ასეთი ფერდობები განეკუთვნება სეისმურად არახელსაყრელ მოედნებს, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ პროექტის ფარგლებში არ იგეგმება ამ ფერდის ჩამოჭრა.

გამოყოფილი ტერიტორიების ფარგლებში, დასაპროექტებელი შენობების კონტურების განლაგების ადგილებში გაყვანილი იქნა 82 გამონამუშევარი, რომელთაგან გაყვანილია 47 ჭაბურღილი, სიღრმით 7,0-15,0 მ-ის ფარგლებში, მთლიანი მოცულობით 521 მეტრი. აღნიშნული ჭაბურღილების ბურღვა შესრულდა მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დაზვით „უგბ-1ვს“, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, კერნის სრული ამოღებით. გარდა ჭაბურღილებისა გაყვანილია 35 შურფ-ბურღილი, სიღრმით 7,0-8,0 მ-ის ფარგლებში, აქედან შურფები გაყვანილი იქნა 1,0-3,0 მ-ის ფარგლებში და შემდეგ დაიბურღა ხელბურღვით 7,0-8,0 მ-მდე. სულ შურფ-ბურღილების საერთო სიღრმე შეადგენს 245 მეტრს, აქედან შურფები 63,50 მეტრს, ხელბურღვა 181,5 მეტრს. ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, გამონამუშევრებიდან აღებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 153 ნიმუში, ხოლო სამი ჭაბურღილიდან, სადაც გამოვლინდა მიწისქვეშა წყალი, აღებული იქნა 3 სინჯი.

წყლები გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 5,0-5,2-9,0 მ-ის სიღრმეებზე. რამოდენიმე ხნის შემდეგ წყლის დონეებმა ამოიწია მცირედ და დამყარდა შესაბამისად 4,8-5,0-8,3 მ-ის სიღრმეებზე. წყლების ცირკულაცია ხდება თიხოვან გრუნტებში და გენეტიკურად წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ჩანაჟონ წყლებს. ლაბორატორიული კვლევების მიხედვით წყალს ახასიათებს სულფატური აგრესიულობა, შესაბამისად საძირკვლების მოწყობისას, წყლის დონემდე ჩაღრმავების შემთხვევაში, საჭირო იქნება წყალქვევითი სამუშაოების ჩატარება. საორიენტაციოდ წყლის მოდენის ქვაბულის თითოეული კვადრატული მეტრიდან, მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ. ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების დამარილიანების გამო (სულფატური დამარილიანება), მიწისქვეშა კონსტრუქციები დამზადდეს სულფატომედეგი ცემენტების ბეტონით.

ყოველივე ზემოაღწერილი გარემოებების გათვალისწინებით მართალია არ იკვეთება საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკები, თუმცა მშენებლობის ეტაპზე საჭირო იქნება ისეთი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, როგორც იქნება მაგალითად: კონსტრუქციის დამზადება მოხდეს სულფატომედეგი ცემენტის გამოყენებით, დამრეც ფერდობებზე არახელსაყრელი სეიმური პირობების განვითარების რისკის ასარიდებლად მოხდეს ფერდის დატერასება და საძირკველის ღრმად ჩაჭრა, ასავე ტერასული საფეხურების ღრმა და ვერტიკალური ქანობების სახით დატოვების შემთხვევაში საყრდენი კედლების გამაგრება და სხვა. მიზანშეწონილია მიწის სამუშაოები შესრულდეს ინჟინერ გეოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ.

აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეამცირებს გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას როგორც მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის.

3.3 ბიოლოგიური გარემო

ფლორა

საკვლევი ტერიტორია, დახრილ, გორაკ-ბორცვიან ფერდობს წარმოადგენს, რომელიც ჩამორღვეული ფერდობის ჭრილის მიხედვით ნეოგენური და პალეოგენური ქვიშაქვებით, თიხებით და კონგლომერატებით არის აგებული. ფერდობთა დაქანება 0-5° – 21-30°-ია, ზოგან, ფერდობი ხელოვნურად არის დატერასებული.



ისტორიულ წარსულში აქ გაბატონებული იყო მეჩხერი ტყე, რომელიც ადამიანის ზემოქმედების შედეგად თითქმის მთლიანად გაიჩეხა, ამან განაპირობა სტეპური და შიბლიაკის მცენარეულობის გაბატონება (საქართველოს კოდი: 62GE02 სტეპის მცენარეულობა);

ადგილობრივები ასეთ მცენარეულობას ველს უწოდებენ და სამოვრის ტიპის კატეგორიას განეკუთვნება.

მცენარეულობა, რომლითაც დაფარულია ფერდობი, წარმოდგენილია მეჩხრად დასახლებული ჯაგეკლიანი ფორმაციებით: შიბლიაკით და ფრიგანებით; ძეძვი *Paliurus spina-christi*, კვრინჩხი *Prunus spinosa*, შავჯაგა *Rhamnus pallasii*, ქაცვი *Hippophae rhamnoides*, ჯაგრცხილა *Carpinus orientalis*, შავი კუნელი *Crataegus pentaguna*, გლედიჩია *Gleditschia triacanthos*, გლერმა *Astracantha microcephala* ტერიტორიის დიდ ნაწილზე გავრცელებულია ასკილი *Rosa canina*.



პატარა ხევების ფსკერზე, ღარტაფებში და ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობებზე ჭარბობს შიბლიაკის შეხვედრილობა. შიბლიაკი წარმოადგენს ფოთოლმცვენ, ეკლოვან ბუჩქებს: ძეძვი *Paliurus spina-christi*, კუნელი *Crataegus pentaguna*; ჯაგრცხილა *Carpinus orientalis*, რომლებიც იზრდება ჯგუფურად ან ერთეულად. მათ შორის ღია სივრცეებში კარგად არის განვითარებული სტეპისთვის დამახასიათებელი მცენარეები.

ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობებზე და ტერასებზე, სადაც ტენიანობა შედარებით მაღალია, განვითარებულია მდელო-სტეპის და სტეპის მცენარეულობა.

მშრალი და ცხელი სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობები და მცირე სიღრმის ღარტაფები ძირითადად დაკავებულია ფრიგანით: ქაცვი *Hippophae rhamnoides*, შავჯაგა *Rhamnus pallasii*, გლერმა *Astracantha microcephala*, ხურხუმო *Salsola nodulosa*.

ზოგადად სტეპის მცენარეულობა, გავრცელების ხასიათის მიხედვით გვხვდება როგორც ვაკეზე ისე მთისწინებში, ცალკეული ქედების შუა და ზედა ნაწილებში. მცენარეულობის გავრცელების ასეთი ხასიათი მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში აქ, სტეპი მეორადია და წარმოადგენს ტყეების ან ბაღების აღების შემდეგ დაკავებულ ტერიტორიებს.

ამავე ტერიტორიაზე ერთეული ხეების სახით ერევა, წიწვოვანი მცენარეებიდან, ბიოტა *Biota* და ტუია *Thuja*; ფოთოლმცვენი ხე-ბუჩქებიდან აღმონაცენების ან ახალგაზრდა ხეების სახით დაფიქსირდა მცენარეთა შემდეგი სახეობები: ლეღვი *Ficus carica*, ჭერამი *Armeniaca vulgaris*, ნუში *Amygdalus*, თუთა *Morus alba*, მინდვრის ნეკერჩხალი *Acer campestre*, ტყემალი *Prunus divaricata*, იფანი *Fraxinus excelsior* და სხვ.

ბალახოვან მცენარეთა სახეობები, რომლებიც გავრცელებულია ინტერესის ზონაში - მდელოებზე, ძირითადად ქსეროფილური ტიპისაა, ასეთებია: ნარი *Eryngium* sp., ოქროცოცხა *Xeranthemum squarrosum*, გოჭმო *Dipsacus laciniatus*, ძირმაგარა *Sibaldea*, დრიანჭველა *Astrodaucus orientalis*, ფარსმანდუკი *Achilea millefolium*, ავშანი *Artemisia phyllostachys*, რძიანა *Euphorbia*, *Dipsacus laciniatus*, ქოთანა *Silene*, თავმავა *Origanum vulgare*, ძირწითელა *Echium rubrum*, ვარდკაჭაჭა *Cichorium intybus*, ველური შვრია *Avena indoviciana*, იონჯა *Medicago coerulea*, ყანის ირაგა *Anthemis altissima*, დაჯირა *Salvia verticillata*, ხურხუმო *Salsola nodulosa*, თეთრი სალბი *Salvia silvestris*, ყანის ჭლექი *Polygonum convolvulus*, უგრეხელა *Vicia ervilia*, წიწინაური *Polygala myrtifolia*, ძირითადად სიმშრალის ამტანი მცენარეები.



ცხრილში 3.3.1. მოცემულია ფლორისტიკაში გამოყენებადი მცენარის სახეობათა პროექციული დაფარულობების განსაზღვრის სკალის და პროექციული დაფარულობის პროცენტული მაჩვენებლის ურთიერთკავშირი: ტრადიციული „დომინის“ სკალის მიხედვით;

ცხრილი 3.3.1 სიხშირე-დაფარულობის დომინის სკალა

დაფარულობის არეალი	აღნიშვნის სიმბოლო
ერთი ინდივიდი	+
მცირე, მეჩხერად განაწილებული	1
0–1%	2
1–2%	3
2–3%	3
3–5%	4
5–10%	4
10–25%	5
25–33%	6
33–50%	7
50–75%	8
75–90%	9
90–95%	10
95–100%	10

მცენარეული საფარის აღწერა ხორციელდებოდა მთელ ტერიტორიაზე; მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნების ინვენტარიზაციასთან ერთად განხორციელდა თითოეული სახეობის დაფარულობის წილის განსაზღვრა, მცენარეთა საერთო პროექციულ დაფარულობაში.

სახეობის დაფარულობის განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნა შეფასების კონსერვატიული „დომინის“ სკალა.

<p>საპროექტო-სამშენებლო ტერიტორია GPS კოორდინატები: X –0479009; Y –4636954 საქართველოს კოდი: 62GE02 სტეპის მცენარეულობა</p>			
<p>სახეობათა ნუსხა/ დაფარულობა (დომინის შკალის მიხედვით)</p>			
ხე-მცენარეების იარუსი		გლერმა <i>Astracantha microcephala</i> ,	2
იფანი <i>Fraxinus exelsior</i>	+	ყანის ირაგა <i>Anthemis altissima</i>	3
ლედვი <i>Ficus carica</i>	1	ძირწითელა <i>Echium rubrum</i> ,	3
ჭერამი <i>Armeniaca vulgaris</i>	1	იონჯა <i>medicago coerulea</i>	2
მინდვრის ნეკერჩხალი <i>Acer campestre</i>	+	წიწინაური <i>Polygala myrtifolia</i>	2
ჯაგრცხილა <i>Carpinus orientalis</i>	2	ფარსმანდუკი <i>Achillea millefolium</i>	4
ნუში <i>Amygdalus</i>	1	დაჯირა <i>Salvia verticillata</i>	2
ვერხვი <i>Populus nigra</i>	+	ხურხუმო <i>Salsola nodulosa</i>	3
თუთა <i>Morus alba</i>	1	კრიალოსანა <i>Hedysarum sericeum</i>	1
გლედისია <i>Gleditschia</i>	1	თეთრი სალბი <i>Salvia silvestris</i>	5
ტყემალი <i>Prunus divaricata</i>	1	ნარი <i>Cirsium sp.</i>	5
ტუია <i>Thuja</i>	1	ავშანი <i>Artemisia sp.</i>	4
ბიოტა <i>Biota</i>	1	ყანის ჭლექი <i>Polygonum convolvulus</i>	4
ზურქების იარუსი		უგრებელა <i>Vicia ervilia</i>	2
ქაცვი <i>Hippophae rhamnoides</i>	2	ბურბუმელა <i>Taraxacum</i>	2
შავჯაგა <i>Rhamnus pallasii</i>	1	ლორის ბირკა <i>Xanthium</i>	2
ძებვი <i>Paliurus spina-christi</i>	3	ვარდკაჭაჭა <i>Cichorium intybus</i>	3
ასკილი <i>Rosa canina</i>	3	ველური შვრია <i>Avena indoviciana</i>	5
კუნელი <i>Crataegus monogyna</i>	2	სამტატა <i>Pyrethrum macrophyllum</i>	+
ბალახოვან მცენარეთა იარუსი		გოქმო <i>Dipsacus laciniatus</i>	1
თავშავა <i>Origanum vulgare</i>	1	ოქროცოცხა <i>Xeranthemum squarrosum</i>	4

პროექტის ფარგლებში დიდტანიანი ხეები ძირითადად გადარგული იქნება, რაც მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს.

ფაუნა

წინამდებარე თავში მოცემულია თბილისის ფარგლებში გავრცელებული ფაუნის სახეობები, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ, საპროექტო ფარგლებში ტერიტორიის შესწავლის დროს მათი დაფიქსირება არ მომხდარა.

ძუძუმწოვრები

საკვლევ ტერიტორიაზე ძუძუმწოვრებიდან შეიძლება შეგვხვდეს: ტყის ძილგუდა (*Dryomys nitedula*), ჩვეულებრივი მემინდვრია (*Microtus arvalis*), კურდღელი (*Lepus europaeus*), ევროპული

ზღარბი (*Erinaceus concolor*), ტურა (*Canis aureus*), მგელი (*Canis lupus*), მელა (*Vulpes vulpes*) და სხვა.

ცხრილი 3.3.1. ლიტერატურული წყაროების მიხედვით საკვლევ რეგიონში გავრცელებული ძუძუმწოვრების სახეობები

